პროექტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

"ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებაში, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმა (დანართი 3) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის წარმომდგენი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია

საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე **"ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“**

1. <u>დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).</u>

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს, 2013 წლის 09 დეკემბრის, N23/138 განკარგულებით დამტკიცდა თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიწასარგებლობის გენერალური გეგმა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია - გენერალური გეგმა და განაშენიანების გეგმა, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2019 წლის 3 ივნისის N261 დადგენილების დანართის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და მე-16-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, დადგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემუშავებულ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტააციის დადგენილების ცვლილების პროექტი. აღნიშნული პროექტით ხდება განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის კოდექსისა და კანონქვემდებარე აქტთან შესაბამისობაში მოყვანა, კონცეპტუალური გადაწყვეტების შეცვლის გარეშე, კერძოდ, ცვლილებების შედეგად არ იზრდება ჯამური განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2), სართულიანობა ან/და საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე, რაც საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული ,,სივრცითი დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს არაარსებითი ცვლილებას.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ ორ სტადიად: ა) I სტადია – გენერალური გეგმის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება; ბ) II სტადია – გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება, ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სივრცის დაგეგმარებისა და

ქალაქთმშენებლობით გეგმებში ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 42-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, გენერალურ გეგმაში არაარსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში 1 სტადია არ ხორციელდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ხორციელდებოდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, არსებითი ცვლილებების გარეშე, მიზანშეწონილად ჩაითვალა ხსენებული დადგენილების ცვლილების პროექტის დამტკიცების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულიყო II სტადიიდან, აღნიშნულის თაობაზე გამოიცა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება **“ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების ("ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილების ცვლილების) მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე “.**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება.

ამდენად, ცვლილება უნდა შევიდეს: "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებაში, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმაში (დანართი 3), **კერძოდ:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის მე-3 მუხლის **მე-6 პუნქტს** უნდა დაემატოს ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **„ა“ ქვეპუნქტი** -ნებადართული სახეობები (საწარმოო ობიექტი; ღია და დახურული საწყობი; ავტოსატრანსპორტო საშუალები მომსახურების ობიექტი.), **„ბ“ ქვეპუნქტი** - საგამონაკლისო წესით დასაშვები ობიექტები (სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები) და განაშენიანების პარამეტრების ცხრილი უნდა ჩამოყალიბდეს **„გ“ ქვეპუნქტად.** ამავე მუხლის **მე-7 პუნქტს** დაემატოს ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **„ა“ ქვეპუნქტი** - ნებადართული სახეობები (მავნე ზემოქმედების მრეწველობის ობიექტები; ფუნქციით განპირობებული ობიექტები.) და განაშენიანების პარამეტრების ცხრილი ჩამოყალიბდეს **„ბ“ ქვეპუნქტად.**

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით არ იზრდება: საბიუჯეტო ხარჯები.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

2. დადგენილების აქტის პროექტის ავტორი (ავტორები) და წარმდგენი.

დადგენილების აქტის პროექტის ავტორი და წარმდგენია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური.

3. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ

სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

4. განმარტებითი ბარათის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

5. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლო სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 137-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის “საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”42-ე მუხლის მე-7 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი კონსულტაციის მიზნით წინამდებარე საკრებულოს დადგენილების პროექტი უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას.

7. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე დადგენილების პროექტის ზეგავლენის შეფასება.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე დადგენილების პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

პროექტის წარმომდგენი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია